№ 6 იანვარი 10, სამშაბათი — 1889 — იანვარი 10 სამშაბათი № 6


გაზეთის ფასი

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეროს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში)

**ქუთაისში:** ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 12 იანვარს
ბენეფისი
ბ. ქ. ყიფიანისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

მეორედ გაწყვილება

დრამა 4 მოქმედებად, გადმოკეთებული თ. დავ. ერისთავისაგან

II

ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი

ვოდევილი ერთს მოქმედებად, გადმოკეთებული დავ. წყურელისაგან.

**მოთამაშენი:** ქქ. ყალიშვილისა, საფაროვი-აბაშიძისა, ბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, თამაროვისა და სხვ.; ბ-ნნი ყიფიანი, აწყურელი, გამრეკელიძე, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 9 იანვარი

ჩვენ, რაც შევიძლით, ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს უმთავრესნი საფუძველნი სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა, რომელიც დღეს არა, ხვალე ეღირსება ჩვენს ქვეყანასა. ამ სათავად-აზნაურო ბანკთან ერთად განზრახულია მთავრობისაგან დაარსებული იქმნას ჩვენში საგლეხ-კაცო საადგილ-მამულო ბანკიცა. მეტი არ იქნება ვიცოდეთ რა საფუძვლებზეა აგებული რუსეთში ეს საგლეხ-კაცო ბანკი, რადგანაც უსათუოდ ეგევე საფუძველნი ექმნება დადებული საჩვენოდაც.

საგლეხ-კაცო ბანკის განსაკუთრებული და ერთად-ერთი აზრი ის არის, რომ გლეხ-კაცობას, რა უწყებისაც გინდ იყოს, გაუადვილოს მამულების სყიდვით შეძენა, როცა მამულის პატრონს გასყიდვა უნდა და გლეხ-კაცობას სყიდვა. მთელი მოქმედება ამ ბანკისა იმაზეა მიქცეული, რომ გლეხ-კაცობას სესხად აძლიოს ფული მამულის სასყიდლად და ამ ნაირად ნასყიდი მამული გირაოდ იქონიოს ნასესხის გადახდამდე.

მამულის სასყიდლად ფული მიეცემათ სესხად ცალკე გლეხსაც, ამხანაგობასაც, ხოლო როცა ამ ამხანაგობაში სამზედ ნაკლები კაცი არ იქნება, ცალკე სოფელსა სოფლეულად, მთელს სასოფლო საზოგადოებას, თუნდა საზოგადოებაში რამდენიმე ცალკე სოფელი იყოს, ანუ რომელისამე დიდის სოფლის ერთს ნაწილსაცა და რამდენსამე სასოფლო საზოგადოებასაც ერთად, როცა მამულს საერთოდ ჰყიდულობენ. ამ სახით ცალკე გლეხი იქნება, თუ რამდენიმე გაამხანაგდებიან, ცალკე სოფელი, დიდის სოფლის რომელიმე ნაწილი, მთელი საზოგადოება, თუ რამდენიმე საზოგადოება ერთად, საგლეხო ბანკი ყველას მიაწვდის სესხსა მამულის სასყიდლად.

როცა მამულსა ჰყიდულობს მთელი სასოფლო საზოგადოება, მაშინ ბანკში შეტანილ თხოვნასთან ერთად უნდა წარდგენილ იქმნას კანონიერი განაჩენი სოფლის საზოგადოებისა. ეს განაჩენი შედგენილი უნდა იქმნას იმ გლეხთაგან, რომელთაც ხმა აქვთ სოფლის ყრილობაში და რომელთა რიცხვი არა ნაკლებ ორის მესამედისა უნდა იყოს. ეს განაჩენი შემოწმებულ უნდა იქმნას სათემო (волостной) მართველობისაგან. როცა მამულს ჰყიდულობენ რამდენისამე სოფლის საზოგადოებანი ერთად, ამისთანავე განაჩენები უნდა წარუდგინონ ბანკსა და შიგ ჩაურთონ, რომ ერთმანეთის თავდებობას ჰკისრულობენ ნასესხის ვადაზედ სახდელად. ამისთანავე თავდებობის ხელ-წერილი უნდა წარუდგინონ ბანკსა მაშინაც, როცა რამდენიმე გლეხი საამხანაგოდ ჰყიდულობს მამულსა.

საგლეხ-კაცო ბანკის წესდებაში განსაზღვრულია რაოდენის სესხის აღება შეუძლიან გლეხ-კაცობას. ეს იმაზეა დამოკიდებული მამულს საერთო სახმარად ჰყიდულობენ, თუ ცალკ-ცალკე სახმარებლად. პირველ შემთხვევაში თითო მამაკაცთა სულზე შეიძლება მიეცეთ თორმეტ თუმან ნახევარი და მეორე შემთხვევაში თითო კომლზედ ორმოც-და-ათი თუმანი. თუ განსაკუთრებული პატივ-სადები რამ საბუთი იქნება, შესაძლოა ზემოხსენებულზედ მეტიც მიეცეთ, ხოლო ამისათვის განსაკუთრებული შუამდგომლობაც უნდა და უკეელივე ამისთანა წამატებაზედ უსათუოდ ფინანსთა მინისტრისაგან ნება-რთვა უნდა აიღოს ბანკმა. ამ პატივსადებ საბუთთა შორის დასახელებულია, მაგალითებრ, იგი, როცა სასყიდელი მამული სარწყავი სათიბია, ან საბოსტნეა, ან საკანაფე და სხვა ამ გვარი.

როცა ამისთანა მამულია სასყიდელი, მაშინ განსაკუთრებული დაფასება უნდა მოხდეს მამულისა და რამოდენადაც დაფასდება, დაფასების მანეთზედ მიეცემა არა უმეტეს ხუთმეტის შაურისა. სხვა ყოველ შემთხვევაში-კი წინადვეა დანიშნული რა ადგილას, რა მხარეში რამდენი უნდა მიეცეს დესეტინაში. ეს წინადვე დანიშნული ფასი გამორკვეულია რუსეთში ფინანსთა მინისტრისაგან, რომელიც დავალებულია ამ შემთხვევაში დაითანხმოს შინა საქმეთა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრებიცა.

გლეხ-კაცობა, რომელიც ისურვებს ბანკს მიჰმართოს ფულის სასესხებლად მამულის სყიდვისათვის, თვითონ უნდა მოურიგდეს მამულის პატრონს. მორიგების პირობა უნდა ხელ-მოწერილ იქმნას ორისავე მხრისაგან და შემოწმებული ან ნოტარიუსისა, ან მომრიგებელ-მოსამართლისა და ან სათემო მართველობისაგან. ამ პირობაში ზედ-მიწევნით აღრიცხული უნდა იყოს: რამდენი სული გლეხი ჰყიდულობს მამულს, რამდენს დესეტინას და თითო დესეტინას რა ფასად. თუ ვინიცობაა, ბანკიდამ გამოსატანი ფული ვერ ასწვდება მორიგებულს ფასს, მაშინ ხსენებულს პირობაში ნაჩვენები უნდა იყოს დასამატებელი ფული როგორ და რა გზით უნდა გადუხადოს მამულის პატრონს მყიდველმა.

თუ ვინიცობაა ბანკიდამ გამოსატანი ფული აუდგა მორიგებულს ფასსა და მსყიდველმა არაფერი არ უნდა დააყაროს, მაშინ საქმე მალე თავდება, ფული ეძლევა გამსყიდველს და ნასყიდობის წერილი მსყიდველსა, რასაკვირველია, მას შემდეგ, როცა ეს წერილი კანონიერად დამტკიცებული იქნება უფროსის ნოტარიუსისაგან. ხოლო მაშინ-კი, როცა მორიგებულ ფასს ბანკიდამ გამოსატანი ფული ვერ აუდგება, მსყიდველმა უნდა წარუდგინოს ბანკს ან დასამატებელი ფული, ან ხელწერილი გამსყიდველისა, რომ ფულს აცლის ვადითა. თუ მამულის მსყიდველმა სამის თვის განმავლობაში მას იქით, რაც სესხის გატანა დაუნიშნეს, ან დასამატი ფული, ან ხსენებული ხელწერილი მამულის პატრონისა არ წარუდგინა ბანკს, ბანკი საქმეს აბათილებს.

# ფელეტონი

## ვამბერისა და ელიზე რეკლიუს აზრი სომხების შესახებ.

ჩვენს გვერდსა და ჩვენს შორის სცხოვრებს ერთი შესანიშნავი ერი, რომელიც ყურადღების ღირსია თავისის წარსულითა და აწმყოთი. მისი პირ-ქვე დამხობილი დიდება, მისი ტანჯვა წვალება აზიის მტარვალთა ფეხ-ქვეშ და სამშობლოდგან გაძევება და განბნევა მთელის დედამიწის ზურგზე, დაცვა თავისის ეროვნებისა—ყოველივე ესე სამართლიანად იზიდავს მეცნიერისა და პოლიტიკოსის ყურადღებას. აი ეს არის იმისი საბუთი და მიზეზი, რომ მეცნიერება და მწერლობა მუდამ ერთნაირად ჰხდის საფუძვლიანად შესწავლისას, თვალყურს ადევნებს ამ ერის თავ-გადასავალსა და ყოფა-მდგომარეობას. ოდესღაც ეს ერი, რომელმაც შეჰქმნა ძლიერი სახელმწიფო და მეცნიერებასა და მწერლობას კვალში ჩაუდგა, მამაცად იბრძოდა მძვინვარე მტერთა შემოსევას მაგრამ სომხეთი სძლია მტრის ხრმალმა და დაემხო სომხეთის სახელმწიფო. ამ საერო უბედურების შემდეგ დიდ-ძალი ნაწილი ერისა განიფანტა სხვა-და-სხვა უცხო ქვეყანაში, იმას უნდოდა თავიდგან აეცილებინა მონობა, ტანჯვა, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა. აზიაში ქვეშ მოექცა დესპოტიურს ძალასა და ევროპაშიაც იმ დროს ცოტათი უმჯობესი დღე დაუდგა, რადგანაც მაშინდელი ევროპა დღევანდელს არა ჰგავანდა. მრავალს ტომს დაუკარგავს თავისი ეროვნება, როცა ბედს მათთვის უღალატნია, მაგრამ სომხობას ასცილდა, მწარე ხვედრი, დაიცვა თავისი ზნეობრივი და გონებრივი სახიერება და იქ, სადაც-კი მოექცა, დაიმკვიდრა ზოგი უფლება. ამ უფლებათა შემწეობით მოაღწია ჩვენს დრომდე და მიიქცია ევროპის ყურადღებაც. თითქმის ყველგან, სადაც სომხობა მოექცა, მის წარმომადგენელთ თავი ამოჰყვეს პოლიტიკასა და მწერლობაში და უფრო-კი ვაჭრობაში. ისეთმა დიდმა უბედურებამ, როგორიც საკუთარის ტერიტორიის დაკარგვაა, სომხებისათვის კარგი შედეგიც იქონია: სომხები რომ თავისს სამშობლოს არ მოშორებოდნენ, შესაძლოა, იმათი ბედი სხვაფრივ დატრიალებულიყო; სომხობამ ევროპაში შესდგა ფეხი და იგემა ევროპული მეცნიერება, მწერლობა და გაიხსენა თავისი დაკარგული ვინაობა. ამას ზედ დაერთო ისტორიული ტრადიცია, რომელმაც დაჩაგრულსა და წელში მოხრილს ერს ცხოველი სული შთაბერა და უკეთესის მერმისის იმედი მისცა. ასე და ამ გვარად ევროპის მეცნიერებისა და მწერლობის ცხოველმა სიტყვამ და ისტორიულმა ტრადიციამ ერთმანეთს ხელი მისცეს და ერი ფეხზე დააყენეს...

როგორც ვსთქვით, ევროპა თვალყურს ადევნებს სომხების თავ-გადასავალს და მეტი არ იქნება მკითხველს ვაცნობოთ, თუ რასა ჰფიქრობენ მეცნიერნი ამ ერის შესახებ. ჩვენ შევატყობინებთ ვამბერისა და ელიზე რეკლიუს აზრს სომხების თაობაზედ.

ვ. ვამბერს, რომელსაც მრავალი წელი გაუტარებია აღმოსავლეთის ქვეყნებში, დაწვრილებით, საფუძვლიანად და მრავალ მხრივ შეუსწავლია მათი მდგომარეობა, აი, როგორ აღწერს სომხებს ერთს თავისს თხზულებაში[1]:

„ვის არ შეხვედრია აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს, ასე იწყებს ვამბერი სომხების აღწერას: ჩასხმულის ტანისა, ფართო მხარ-ბეჭისა და დიდ-თავა ხალხი, რომელიც იპოვება პაროპამიზის მთებიდგან მოყოლებული მდ. დუნაიამდე, კავკასიიდამ კუნძულ იავამდე ყოველ გვარ სოციალურს მდგომარეობაში და ყოველ ნაირ განათლების ხარისხზე თუმცა ეს ხალხი დიდი ხანია გაბნეულა სხვა-და-სხვა ქვეყნებში, რაიცა დამჩნევია იმის სახიერებას, მაგრამ მთელს ერს მაინც ეტყობა ერთნაირი დაღი. ეს ხალხი არის სომეხთა ერი — ერმენი[2])... დიდი ხანია მას აქეთ, რაც წარვიდა და განქრა აყვავებული ეპოქა ამ ერისა, დრო დიდისა და მცირე სომხეთის პოლიტიკურის დიდებისა. ანისა და სისის ქვითკირის ნანგრევებს, ერზერუმისა და ერცინგიანის მახლობლად, მეტი მნიშვნელობა აქვსთ ევროპელ მოგზაურთათვის, ვიდრე პართიისა და რომის ძლიერ მოწინააღმდეგეთა ადგილობრივ შთამომავლობისათვის. მაგრამ რა სახსენებელია ქვითკირის ნანგრევები იქ, სადაც წმინდა გარდმოცემის ცხოველი სიტყვა სცხოვრებს ასის ათასისა და თითქმის მილიონების ხსოვნაში და საიდუმლო კალამივით მუშაობს მათ სულსა და გულში? ჩარვადარმა, რომელიც გვერდით მომყვება ვიწრო ბილიკზე და ჯორებს მისდევს, არა იცის-რა სომხეთის ეკკლესიების შესახებ, მაგრამ ჩემს თანამოგზაურს ოჰანეზას, თავრიზელს ვაჭარს, მცირეოდენი ცნობა მაინცა აქვს ამ ნანგრევების შესახებ. ბაიაზიდის გზაზე მდებარე ულ-კილისის მონასტრის (სადაც ჩვენ ღამე გავატარეთ) ვართაპეტს შეუძლიან ბევრი რამ გიამბოთ თავისის სამშობლოს წარსულზე. აი, მან ხელით გაისწორა გრძელი მოშავო წვერი, შესჭმუხვნა წარბები და წმინდა ლიტერატურულის ენით ვრცლად და საფუძვლიანად მიამბო სომხეთის სამღვდელოების წარსული დიდება და ძლიერი ისტორია. ბ-ნმა ნაზარიანმა-კი, ევროპულად მორთულმა და სტამბოლში ჰკვიან კაცად ცნობილმა, დაწვრილებით და დიდის აღტაცებით მომითხრო თავისის ერის დიდების ისტორია. ნაზარიანცს კარგად შეუსწავლია არა

[1]) Библіотека путешествій. Вамбери „Очерки и картины восточныхъ нравовъ“, глава „Восточные христіане“, стр. 208—216 и 219.

[2]) ვამბერი ეხება მხოლოდ აზიის სახელმწიფოთა ქვეშევრდომ სომხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანკისაგან ნასესხებ ფულზედ გლეხკაცი იხდის წელიწადში ყოველს ასს მანეთს ნასესხზედ რვა მანეთს და ათს შაურს თავნსა და სარგებელში, თუ ოც-და-ათხის წლით და ნახევრით აღებულია სესხი და თუ ოც-და-თოთხმეტის წლით და ნახევრით— მაშინ შვიდ მანეთსა და ათს შაურს.

უმთავრესნი საფუძველნი საგლეხკაცო ბანკისა ესენია. ჩვენ, რასაკვირველია, არ გამოვუდგებით არც იმ წვრილმანების ჩამოთვლას, რომელიც აუცილებლად თანა სდევს ამისთანა რთულს საქმეს, არც თითონ ბანკის შინაგან აგებულებას და არც მის საქმეთა წარმოების რიგსა და წესსა. ჩვენ გვსურდა გამოგვერკვია მარტო ძირითადი აზრი ამ ბანკისა და უფლება და მოვალეობა მათი, ვის საკეთილდღეოდაც დაარსებულია. ამ მხრით ჩვენ დაგვრჩა გამოკვლევა მარტო იმისი თუ,—რა შეღავათებს ჰპირდება ეს მართლა-და სასარგებლო ბანკი გლეხ-კაცობას, რომელიც ბანკს მიჰმართავს ფულის სასესხებლად მამულის სყიდვისათვის. ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

## ახალი ამბავი

* * ჩვენ შევიტყეთ, რომ თ. ივანე სულხანის ძეს ჭავჭავაძეს ორმოცი თუმანი შეუწირავს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისათვის.

* * უწმინდესს სინოდს მოუწონებია „ქართული გრამატიკა", შედგენილი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლის ა. ქუთათელაძის მიერ, და დაუდგენია, რომ ეს გრამატიკა იხმარებოდეს სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიაში.

* * ოთხშაბათს, 11 იანვარს, ბანკის თეატრში დანიშნულია ბენეფისი კასირის ბ-ნის მირიმანოვისა. ფორკატის დასი ითამაშებს პირველად პიესას მ. ჩაიკოვსკისას: «Лизавета Николаевна» და ვოდევილს: «Глухой тетеревъ, или глухота большой порокъ».

* * ტფილისის თეატრში დანიშნულია დღეს, სამშაბათს, წარმოსადგენად ოპერა «ფაუსტი», ოთხშაბათს—«ტრუბადური» და ხუთშაბათს «სამასკარადო ბალი».

* * ხუთშაბათს, 12 იანვარს, ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი ბ-ნის ყიფიანისა. წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა, გადმოკეთებული რუსულიდგან თავ. დავ. ერისთავის მიერ: „მეორედ გაყმაწვილება". ამ პიესამ რუსულს სცენაზე კარგი სახელი მოიპოვა და მრავალ-ჯერ უთამაშნიათ მოსკოვსა და პეტერბურგში. უმთავრესს როლებს ასრულებენ ბ-ნი ყიფიანი, ქ-ნნი ავალოვისა და საფაროვი-აბაშიძისა.

* * ბ-ნ ი. ალხაზიშვილისაგან ჩვენ მივიღეთ 23 მანეთი და 36 კაპ. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის" გადასაცემად. ეს ფული ბ-ნს ი. ალხაზიშვილს მოუგროვებია ზოგი ქ. ახალქალაქსა და ზოგიც ახალციხეში.

* * თელავი: 4 იანვარს აქ თოვლი არშინამდეა. თოვს განუწყვეტლად და ეს სამი დღეა რაც დიდი ყინვები დაიჭირა; ძლიერ გვეშინიან ვაზს არა ავნოს-რა ამ საშინელმა სიცივეებმა და ყინვამ, თუმცა გამოცდილნი მემამულენი-კი დაბეჯითებით გვარწმუნებენ, რომ ვაზს ფიქრი არა აქვსო, რადგანაც ძირს ნახევარ ალაბამდე თოვლი დაჰყვა და ამიტომ ყინვა მიწამდე ვერ ჩაატანსო. თოვლი თუმცა დიდია და ადრეც დაგვიზამთრდა, მაგრამ გორელებივით გაჭირება-კი არ გვადგია. ამ დიდს თოვლს ჩვენთვის არავითარი სურსათი არ შეუძვირებია გარდა შაქრისა. შაქარი-კი აქაურმა მოვაჭრეებმა ხუთ შაურამდე ასწიეს, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც დეპომ თავი გამოიჩინა: 21 კაპ. ზევით არ აუწევია და დღესაც ამ ფასად ჰყიდის შაქარს.

შეშა ხომ ძლიერ იაფია: თავად ვახვახიშვილების ტყე თელავს ზედ აკრავს. შეშის მომტანი გლეხები მემამულეთაგან ღებულობენ თითო მარხილის ბარათს 20—25 კაპ. ტყიდგან სულ დაღმართია და დღეში თითქმის ორ-ორს გზას ჩამოიტანენ ჰყიდიან 60 კაპ. და 1 მან. ორი მარხილი ერთი საშუალი ურემი იქნება.

* * 24 დეკემბერს, შობის წინა დღეს, ჩვენს მართლ-მადიდებელს ეკკლესიას შემოუერთდა ქალაქ ალექსანდრეპოლის ერთი პატივცემული და გავლენიანი მოქალაქე, ალექსანდრე იაკობის ძე ბაბაევი, რომელიც დღემდე სომხის გრიგორიანის აღსარებისა ყოფილა. ამ ბაბაევს მთელის თავისის სახლობისათვის უთხოვნია, რომ იმათაც მიჰბაძონ ამის მაგალითს (გაზ „მწყემსი").

## მთავრობის განკარგულებანი.

ხელმწიფე იმპერატორმა 1 იანვარს 1889 წლისას, მინისტრთა კომიტეტის წარდგენილებისამებრ, ყოვლად მოწყალედ ინება ებოძებინა:

შთამომავლობითი საპატიო მოქალაქეთა; ტფილისის საპატიმროს კომიტეტის დირექტორებისა, გიორგი ქართველიშვილისა და ივანე წოვიანოვისათვის წმ. ანნა მე-3 ხარისხისა:

23 დეკემბერს 1888 წლისას ებოძათ:

ორდენები: წმ. სტანისლავა მე-2 ხარისხისა ახალქალაქის საპატიმროს განყოფილების დირექტორს, კოლლეჟსკი ასესორს თ. სუმბათაშვილს.

წმ. სტანისლავა მე-3 ხარისხისა დირექტორს ტფილისის საპატიმროს კომიტეტისას, კოლლეჟსკი სეკრეტარს ფრიდონოვს და ტფილისის საპატიმროს კომიტეტის ბუხგალტრის თანამდებობის აღმასრულებელს, კოლლეჟსკი რეგისტრატორს ტიგრანოვს.

მენდალი ზედ-წარწერით: „გულ-მოდგინეობისათვის", ოქროსი, ყელზედ სატარებლად ალექსანდრეს ლენტზედ: ტფილისის საპატიმროს კომიტეტის დირექტორს, საპატიო მოქალაქეს აბრამბაბანოვს. ანნას ლენტზედ: თელავის საპატიმროს განყოფილების დირექტორს იაგორ სიმონოვს. ვერცხლისა ყელზედ სატარებლად სტანისლავას ლენტზედ: დირექტორს ტფილისის საპატიმროს კომიტეტისას მე-2 გილდის ვაჭარს იაგორ ოსკანოვსა და დირექტორებს საპატიმროს განყოფილებათა: გორისას—პროვიზორს კარლ შეპფეს და სიღნაღისას — ნიკოლოზ კუდიჯანოვს.

## ახლად აღმოჩენილი

### შესანიშნავი ქართული მანუსკრიპტი

რამდენთამე ძველ ქართულთა წიგნთა შორის, რომელნიც ამას წინად ალექსიძეს-მესხიშვილს შემოუწირავს ჩვენის „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის" (ნახე „ივერია" შარშანდელი №№ 231, 232, 233 და 234), ერთი, ამ საზოგადოების წიგნთ საცავის კატალოგით № 1141, ეტრადზე ნაწერი იოანე ბერის ხელით მეფის ბაგრატ I დროს (826—876 წ.), წარმოგვიდგენს შემდეგს შინაარსს: 1, კაცის შექმნაზე გრიგოლ ნოსელის ეპისკოპოზისა (გვ. 2—121); 2, ათორმეტთა თვალთათვის ეპიფან კვიპრელისა (გვ. 122—214); 3, მხეცთათვის სიტყვა ბასილი კესარიელ ეპისკოპოზისა (გვ. 215—339); 4, (სათაურ-წაბლალული) ქრონოლოგიური ცნობანი ანუ მეფენი ურიათა, სპარსთა, პტოლომეანი ეგვიპტელთანი, რომაელთანი; აქვე განმარტება ანბანთა: ებრაულისა, ფინიკიურისა და ბერძნულისა (გვ 240—255); 5, სხვა-და-სხვანი განმარტებანი, მათ შორის „ქება-ქებათა" იპოლიტესი (გვ. 256—432); 6, „მოქცევა ქართლისა" (გვ. 433—497); 7, თარგმანება დავითის ფსალმუნებისა ეპიფანე კვიპრელისა (გვ. 515—581). იწყება ამ მინაწერით: „პირველი სიტყუაჲ მიწერილი დაჩისი სტეფანესა ნეტარისა მტბევარისა ეპისკოპოზისა". 578 გვერდზე აქვს წარწერა: „დაჩის ეთარგმნა ესე სომეხთა ენისაგან". ადგილ-ადგილ იპოვება თვით სომხურს ენაზე იმ დროისავე მინაწერი, რომელშიაც შესამჩნევი არა არის რა.

აქ საყურადღებოა დაჩისაგან მიწერილი სტეფანე მტბევარისადმი წიგნი: „ღირსო მამაო, ასე იწყებს ეს წიგნი: ეპისკოპოზო სტეფანე, ქრისტეს გამორჩეულ მამულო... მრავალ ჟამიდგან გულ-მოდგინეთ ვეძიებდ თარგმანებასა ფსალმუნთასა, რომელი დაწერა წმ. ეპიფანე კვიპრელ ეპისკოპოზმან, და არა ვპოვე ქართულად; ბერძენთა ენითა ვპოვე და ვერ შევუძელ ცნობაჲ... მერმე ვპოვე სომხურითა ენითა წერილი სრულიად მითვე ბერძულითა განგებითა და მითვე რიგითა—შემშურდა სომეხთავის და შემეშინდა თარგმანებად, რამეთუ დიდი ბრალობაჲ შეემთხვევის თარგმანთა, რომელნი არა განეკრძალნენ, და უკეთუ ვისმე პირველად ეთარგმნოს, წინაღჳომად გამოჩნდების, ხოლო მე არა ვპოვე და ამისთვის ასერგასისთა ფსალმუნთაგან შვიდნი მხოლოდ გამომიხვიან და წინაშე ღვთის მოყვარებისა შენისა განსახილველად მიგიძღვანე; ხოლო შენ მსგავს მოცემულისა მაგის სიბრძნისა შენისა განიკითხე და ჯერ თუ იყოს, შენ მიერ დაენერგოს შორის ეკკლესიასა, და უკეთუ არა ღირს რაჲმე იყოს, წიგნი ესე დაჲვი და სიუცბე ჩემი დაფარე და მე მასხილე და შევინანო"...

თვით მანუსკრიპტის გადამწერი იოანე ბერი 578—579 გვერდზე უძღვნის ..ოელს ეპისკოპოზს ანტონის თავის მანუსკრიპტსა, „რომელი შევედრეო, აბოლოებს იგი,... საყოფელსა წმინდისა ღუთის-მშობლისასა, რომელსა შანა (ვწერ)ე, სალოცველად. მეფეთა ჩვენთა.. ბაგრატ მეფისა და ყოველთა შვილთა მათთათვის".

ვინ არის ხსენებული დაჩი, ან ეპისკოპოზი ანტონი, ან იოანე ბერი, ჩვენ არ ვიცით. რაიცა შეეხება სტეფანე მტბევარსა, უეჭველად იგია გამოჩენილი ჩვენს მწერლობაში აღმწერელი წმ გობრონის ცხოვრებისა და თუმცა ქართლის ცხოვრებაში იხსენიება ადარნასე II-ს დროს (881—923 წ.), მაგრამ სჩანს იგი თვით ბაგრატ I-ს დროსვე (826—876 წ.) ჰბრწყინავდა.

არა სჩანს, როდის და ვისგან უნდა იყოს შედგენილი „მოქცევა ქართლისა"—ამისი მაჩვენებელი წარწერა გადასულია, მხოლოდ თავი და ბოლო იკითხვის: „წიგნი „ქართლისა მოქცევისა"... ვითარცა ტალანტი წინამძღვართაგან დაფარული შემდგომად

---

მარტო სამშობლო ისტორიის სხვა-და-სხვა ეპოქა, არამედ მეზობელ ქვეყნების თავ-გადასავალიც. ნაზარიანს მტკიცედ სწამს, რომ სომეხთ ერს ხანგრძლივის მონობისა და დაჩაგვრის შემდეგ მოელის უკეთესი მერმისი და გამარჯვება.

„ამ მძლავრისა, გაუთლელისა და ყოველის მხრით ძალუმის ხალხის გასაცნობლად საჭიროდ მიგვაჩნია ავუწეროთ მკითხველს სხვა-და-სხვა წოდების წარმომადგენელნი. ჩარვადარი გარდმოხვეწილია ვანიდგან, სომხების მთავარ ბუდიდგან, რომლის კლდეებზე დაცულია მრავალი ლურსმებრივი ზედ-წარწერა (ეს ზედ-წარწერანი, რომელთა საიდუმლოს ამოკითხვა სიცოცხლედ დაუჯდა მეცნიერს შულცს, მოგვითხრობენ სპარსთა თავ-გადასავალს). ეს ჩემი ჩარვადარი ლარიბ სოფლიდგან, სადაც ქურთები ეპურქრებოდნენ, გაეშურა ზღვის ნაპირა ადგილებისკენ, რადგან იცოდა, რომ იქ სხვა-და-სხვა საქონლის გადასატან-გადმოსატანად საჭიროა ფართო და მაგარი ზურგი, მძლავრი აგებულება, რითაც ბუნებამ უხვად დაასაჩუქრა სომეხი. დიდის ხნის განმავლობაში ზურგით ატარებდა სხვა და სხვა მძიმე ტვირთს—რკინეულობით სავსე ყუთებს ტრაპიზონის ბოლოზში მდგომ ხომალდებიდგან, ვიდრე ფართო ზურგის შემწეობით არ მოაგროვა რამდენისამე საჴედრის სასყიდელი ფული. შემდეგ, რასაც საკუთარის ზურგით ათრევდა, აჰკიდა ვირებს და ამ ნაირად გადააქვს და გადმოაქვს საქონელი. თითონ-კი მხიარული ქვეითად მიჰყვება პატარა ქარავანს და ყოველთვის იმასა ჰფიქრობს, თუ რამდენად აღემატება ქირა ხარჯს. იგი უფრო თივისა და ქერის შესახებ ჰზრუნავს, ვიდრე თავის თავზე, რადგან იმისი ყოველ-დღიური საჭმელი პური და ხახვია, და ეს სურსათი-კი იმდენს ხარჯს არ მოითხოვს, რამდენიც ვირებისათვის არის საჭირო. მაგრამ ჩვენი ჩარვადარი მაინც ყოჩაღად და ჯან-საღად გამოიყურება, თუმცა თითონ ძონძებშია გახვეული. საკვირველი აქ ის არის, რომ სახლ-კარიც კარგადა აქვს მოწყობილი, ბალღები კარგად მორთული და საკმაოდ მაძღრები ჰყავს და სასწავლებელშიაც ატარებს. ვისაც მეტი გამბედაობა აქვს, მაგალითად, რომელსამე აკოფას ანუ სარქისას, ის დაჰყობს თუ არა რამდენსამე ხანს ზღვის ნაპირზე, გაემგზავრება სტამბოლისაკენ, რადგანაც იმედი აქვს, რომ იქ ბედნიერებას მოიპოვებს. ვინც საკმაოდ დახელოვნებულია ქვემძრომლობისა და ცბიერების ხელობაში, ფეხს შემოსდგამს რომლისამე მაჰმადიანის სახლობაში, სადაც მსახურის ადგილს აძლევენ, ესე იგი „აივასობს". ბინად ეძლევა ყოველისფრით საძაგელი კუნჭული და უკანასკნელ მოსამსახურედ ითვლება. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ეს აივასი, გიაური და უკანასკნელი მოსამსახურე, აღმოსავლეთის მამა-პაპურის წეს-წყობილების წყალობით, ხანდისხან ოჯახის წევრად ითვლება და ფულსაც აგროვებს. სტამბოლში ახლად მისული, თუ საკუთარის ძვლების სიმაგრეზე უფრო დაიმედებული, ვიდრე ხასიათის გაქნილობაზე, მოიგდებს ზურგზედ კურტანს, სდგება მუშად და თავისის ძალლონით აკვირვებს ევროპელთა. ასე და ამ გვარად ზოგი ხასიათისა და ზოგი ძვლების სიმაგრის წყალობით შეუდგებიან ხოლმე ცხოვრების ეკლიანს გზას და მოაგროვებენ ცოტაოდენს ფულს თუ არა, ბრუნდებიან სამშობლოში, სადაც კრეზებად ითვლებიან...

„ორის ტიპიურ სომხის აღწერის შემდეგ ვილაპარაკებ სოფლელ სომეხზე. მიწის მუშაობა დიდის ხნიდგან საყვარელი საქმე გლეხისათვის, რომელსაც იმდენად საკმაო ძალ ღონე და მოთმინება ჰქონდა და აქვს ხრიოკ ადგილას შესამუშავებლად, რამდენადაც სიმარჯვე და გაიძვერაობა შესწევს ბერძენს ვაჭრობისათვის. მიწის მუშაობა დღეს მაინცა და მაინც სახეირო და საამო არ არის სომხისათვის: უპირველესად იმისის მძიმე შრომის მცირე ნაყოფს ხელს მიჰყოფს თავისის ნისკარტით სამღვდელოება, რომელიც, მართალი უნდა ვსთქვათ, მაინცა და მაინც დიდს გაუმაძღრობას არ იჩენს. სამღვდელოებას მოჰყვება ხარჯის მომკრეფი, მხეცი მრავალ მჭამელი და გაუმაძღარი... მიწის მუშა სომეხი რაკი დააკმაყოფილებს ზევით ღმერთსა და ქვევით ხელმწიფეს, კიდევ ვერ მოისვენებს, რადგანაც ერთის წლის განმავლობაში ათჯერ მაინც გაჰქურდავენ და გასძარცვავენ ქურთი ავაზაკები. ხშირად მიწის მუშა სიცოცხლესაც ესალმება. ეს სრულიადაც გაზვიადებული არ არის, რადგანაც მოგზაურობის დროს ხშირად მინახავს, თუ როგორ დარაჯობენ იარაღით აღჭურვილნი მამაკაცნი ღამ-ღამობით თავიანთის სახლების მიწურს ბანებზე. ადვილი წარმოსადგენია, რომ ამ ნაირი გაჭირებული ყოფა-მდგომარეობა მოითხოვს საოცარს ჯან-მრთელობას. თუმცა ეს ასეა, სომეხი მაინც რიგიანად სცხოვრებს. უმეტეს ნაწილად იგი ფულს აწარმოებს, ან, უკეთ ვსთქვათ, ასარგებლებს, უმოწყალოდ ჰპარსავს და ჰფცქვნის ხოლმე იმ უბედურს, ვინც ხელში ჩაუვარდება. თითონ-კი ადგილობრივის მთავრობის მფარველობის ქვეშ იმყოფება და ეს მფარველობა მაინცა-და-მაინც იაფად არ უჯდება ხოლმე. მოაგროვებს თუ არა სომეხი ფულს, იმ წამსვე აიბარგება და რომელსამე პროვინციალურს ქალაქში დასახლდება, სადაც ეძებს უფრო ფართო სარბიელს; პროვინციიდგან გადადის სატახტო ქალაქში, სადაც მრავალი ზარმაცი და ქონების მფლობელი ეფენდი, ბეგი და ფაშა სცხოვრებს. აქ ის ძველს წოდებას—სესხის გამცემის სახელს არ ატარებს და ირქმევს უფრო საამო სახელს მულტეციმისას, ე. ი. გადასახადის შემსყიდველისას და ან კარის ბანკირისას. ეხლა ხორბაჯის მაგივრად უწოდებენ „ჩელებს"—ბატონს. სახელი „ბატონი" უქმი სიტყვაა: უნდა ნახოთ, როგორის ბალღურის გულ-მოდგინებით შეაძლევენ ხოლმე ეს „ბატონები" ფულსა და სამსახურს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ". ამ „მოქცევას ქართლისას", განსხვავებულს იმ ცნობათაგან, რომელნიც ჩვენა გვაქვს, წინ უძღვის ქართული მოკლე მატიანე (გვ. 433—446), რომელიც იწყება ალექსანდრე მაკედონელის დროდამ და სწყდება აშოტ კუროპალატის (786—826 წ.) მემკვიდრის გვარამ ერისთავთ-ერისთავის დროს. ეს მატიანე, გამოკლებული, როგორც ეტყობა, სხვა დიდის მატიანიდამ, ბევრში ეწინააღმდეგება ქ. ცხ-ბას. მაგალითებრ, მატიანეში პირველ ქართლის მეფედ სახელ-წოდებულია არანი, რომლის შვილი აზო თურმე მიემხრო ალექსანდრე მაკედონელსა და ალექსანდრესაგან თვით არანის სიცოცხლეშივე დადგენილ იქნა მეფედ მცხეთაში. შემდეგ აზოსა მეფობს ფარნავაზი. მირიანი შვილია არა სპარსეთის მეფისა, არამედ ქართლის მეფის ლევისა. თვით ბაკურ (ქ. ცხ-ის ბაქარ) შვილი რევისა და არა მირიანისა. გვარამ, ქ. ცხ-ბით პირველი ბაგრატიონი, არ იხსენიება ურიის შთამომავლად. ხსენებული წყარო ჩვენ მიგვაჩნია შესანიშნავ წყაროდ. არც მატიანეში, არც „ქართლის მოქცევაში" ჩვენა არა ვხედავთ არავითარს კვალს არც უცხოელთ მწერლობის გავლენისას და არც შემდეგ საუკუნეთა ცვლილებისას. ერთიცა და მეორეც აღბეჭდილნი არიან იმ ხასიათით, რა ხასიათიც უნდა ჰქონიყო იმათ იმ დროს, როდესაც იგინი პირველად არიან შედგენილნი. მატიანე ბევრშიაც ჰშველის ქ. ცხ-ბას. ქ. ცხ-ბით ზოგნი მეფენი და მთავარნი მეტის-მეტად დიდხანს მეფობენ და მთავრობენ, მაგალ., 40—60 წელს, მაშინ როდესაც ჩვენის ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, მეტადრე სასანიანებისა და არაბების მბძანებლობაში, ისეთია, რომ ხანგრძლივი მეფობა ანუ მთავრობა შეუძლებელი საქმე იყო. მატიანე იმ ხანად აღრიცხავს რამდენსამე მეფეს თუ მთავარს და ამ წყაროს შემწეობით ახლა შეგვიძლიან ჩვენ თითქმის შევიგნოთ, მაგალითებრ, ვინ იყვნენ, სხვათა შორის, წმ. ესტატე მცხეთელის ცხოვრებაში (VII საუკ.) ნაჩვენები ქართლის პატიახში არშუშა, ანუ მეცხრე საუკუნის მანუსკრიპტში ჩართულის წმ. აბოს ცხოვრების პირნი: ქართლის ერის-მთავარი ნერსე ძე ადარნასე კუროპალატისა, სტეფანოზ დისწული ნერსესი და ძე გურგენისა. გარდა ამისა მატიანე ყოველთვის უჩვენებს, რომელ დროს ვინ იყო პირველი მთავარ-ეპისკოპოზი კათოლიკოზობის დაწესებამდე. ამ გვარადვე ასახელებს იგი ყველა უძველესს კათოლიკოზებს, მათ შორის იმათაც, რომელთაც ქ. ცხ-ბაში ჩვენ ვერა ვპოულობთ. პოლიტიკური მდგომარეობაცა და უცხოელთა მფლობელობაც აგრეთვე გარკვევით არის ნაჩვენები. საუბედუროდ, ადარნასე ერისთავის შვილის სტეფანოზის დროდამ ვიდრე აშოტ კუროპალატის მემკვიდრის გვარამის (ქ. ცხ-ში არ არის ცნობილი) მთავრობამდე მხოლოდ სიაა თოთხმეტთა „დიდთა ერისთავთა". სტეფანოზ ერისთავისა და ევნონ კათოლიკოზის შემდეგ ოც-და-ხუთნი კათოლიკოზნი სიითვე არიან წარმოდგენილნი. იმათგანნი პირველნი რვანი იყვნენ „ცოლოსანნი". ქ. ცხ-ში ევნონის შემდეგ ვიდრე ბაგრატ III-მდე (XI საუკ.) არც ერთი კათოლიკოზი არ არის სახელწოდებული.

ჩვენ ზოგს ცნობებს ამ მატიანისას ჩვენს ისტორიაში თავ-თავისს ადგილს შევუფარდებთ ქ. ცხ-ბისა და სხვა წყაროების ცნობებს. აქ დავძენთ, რომ თუ ამ მატიანის დიდი დედანი სადმე აღმოჩნდება, მაშინ, ჩვენის აზრით, ჩვენ შევიძენთ ერთს ახალსა და იქნება უკეთესსაც ისტორიულს მასალას ძველის ჩვენის დროისას. ეს იმედი, ვგონებთ, ფუჭად არ ჩაგვივლის, თუ რომ რაც ძველი მანუსკრიპტები კერძო სახლებში სადმე და მონასტრებში არის დაცული, შემოიკრიბებიან ჩვენს წიგნთ-საცავში ტფილისს. უნდა-კი გავახსოვდეს, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენის ისტორიის წყაროებისა შეტანილია სხვა-და-სხვა გვარს მანუსკრიპტებში, როგორც „მოქცევა ქართლისა" ზემოდ ხსენებულს საეკკლესიო მანუსკრიპტში. ამისათვის ყველა საქართველოს შვილი, რომელსაც ამ გვარი რამ მანუსკრიპტი თუ სიგელ-გუჯარი მოეპოვება, ძველადგან მამა-პაპათაგან გადმოცემული, მოვალეა იგინი ჩვენს წიგნთ-საცავს გადმოსცეს.

დიმიტრი ბაქრაძე

# დეპეშა

7 იანვარი

პეტერბურგი. „Нов. Время" იუწყება, რომ საზაფხულოდ ელიან პეტერბურგში ბევრს უავგუსტოესს სტუმრებსაო, სახელდობრ, დანიასა და საბერძნეთის მეფე-დედოფალს, ჩერნოგორიის მთავარს, დიდს ჰერცოგს ჰესენისას, იმისს ასულს პრინცესა ალისას და სპარსეთის შაჰსაო.

იგივე გაზეთი ამბობს, რომ დიდის მთავრის პავლე ალექსანდრეს ძისა და საბერძნეთის პრინცესას ჯვარის წერაზე დედოფლის ვიქტორიის წარმომადგენელად იქმნება პრინცი უელსისაო.

ამ ჟამად პეტერბურგში შეკრებილ მკურნალთა უმეტესობამ გადასწყვიტა, რომ შემდეგი კრება მკურნალთა 1890 წელს დაინიშნოს მოსკოვში.

ვენა. აქ მოვიდა პრინცი ალექსანდრე ბატენბერგი და უნდა დაუბრუნოს იმპერატორს ავსტრიის ორდენები, რომელიც იმისს მამასა ჰქონდა ნაბოძები. პრინცი მიიღო იმპერატორმა და დიდხანს ესაუბრა. სადილად მემკვიდრე პრინცმა მიიწვია.

პარიჟი. ნიზის ქალაქში, ენსკის დეპარტამენტს, მუშებმა ხელი აიღეს მუშაობაზე და დასწვეს ქარხანა.

8 იანვარი

პეტერბურგი. უბაჟოდ შემოტანა ჩაისა კიახტიდამ თურქესტანსა და სტეპნოე საგენერალ-გუბერნატოროში მოსპობილ იქმნა.

გადაწყვეტილ იქმნა: აეკრძალოს ბეჭდვა კერძო განცხადებათა და ცალკე ნომრების გასყიდვა გაზ. «Русскій Курьеръ»-ს.

გამოცხადებულ იქმნა, რომ თანხმად ოსმალეთის უწყებულობისა, მხოლოდ ის ებრაელნი არ უნდა დარჩნენ სამს თვეზე მეტს პალესტინაში, რომელნიც მიდიან იქ ჯგუფ-ჯგუფად და არა სათითაოდ.

მერვი. ყინვა-ტეხერას იმიერ-კასპიის ქვეყანაში ყური არ მოსტყდა; მკვიდრნი დიდს გაჭირებაში არიან: მინდვრებში აუარებელი თხა-ცხვარი ჰყრია გაყინული და დაძრული; საჭმელ-სასმელი ველარსაიდამ ველარ მოაქვთ; შაქარი ყიზილარვადში 12 მანათია ფუთი; ნავთი ყველგან 6 მანათად იყიდება ფუთი.

სოფია. პრინცს კობურგისას ეშინიან, საფათერაკო შედეგი არა მოჰყვეს-რა ერის უკმაყოფილებას სინოდის წევრთა განდევნის გამო სოფიიდამაო, და ამიტომ სცდილობს დანარჩენის მდაბალის სამღვდელოების გული მოიგოს. ამ აზრით საახალწლოდ სამღვდელოების წარმომადგენელნი მრავლად იყვნენ მიწვეულნი სასახლეში. პრინცმა დიდის თავაზით მიიღო იგი წარმომადგენელნი და ზოგიერთნი სადილად მიიპატიჟა, მაგრამ პრინცს მაინც დიდად ემდურებიან. ხმები ისმის აგრეთვე, რომ უსიამოვნება მოსვლიათ პრინცსა და სტამბულოვს. ამის დასამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ სტამბულოვის გაზეთს „Свобода"-ში ცხარე წერილები იბეჭდება პრინცის წინააღმდეგ. ამ წერილებში პრინცს ამტყუნებენ, რომ სასახლეზე ჩვეულებრივის დროშის მაგიერ აღმართე დროშა, რომელზედაც კობურგების საგვარეულო გერბია გამოხატულიო. პრინცს ემდურებიან კიდევ მაიორის პაპოვის გამო, რომელსაც პრინცი ესარჩლება და მფარველობას უწევს. დროშის გამო პრინცმა უკან წაიღო თავისი სურვილი და ჩამოახსნევინა ის დროშა, რომელზედაც კობურგების გერბი იყო გამოხატული.

ვენა. დიპლომატებს შორის დიდს ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ აქ ასეთის პატივის ცემით მოექცნენ პრინცს ბატენბერგსაო. გუშინ პრინცმა ჰნახა ჰერცოგი კუმბერლენდისა.

პრინცესა კლემენტინას მოგზაურობამ ამაოდ ჩაიარა და პრინც ფერდინანდისათვის თანაგრძნობის მოსაპოვებლად პოლიტიკაში კლემენტინამ ვერა გაარიგა რა.

9 იანვარი

პეტერბურგი. „Гражданинъ"-ი იუწყება, რომ გზათა მინისტრი გაზაფხულზედ აპირობს მიმოიხილოს რკინის გზები და საზოგადოდ გზანი რუსეთისანიო.

ახალი სავექსელო წესდება წარედგინა სახელმწიფო საბჭოს.

სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ადგენენ პროექტს კომიტეტების დაარსებისას. ამ კომიტეტების დანიშნულება ის იქნება, რომ თვალ-ყური ადევნონ გასასყიდ სასმელ-საჭმლის ვითარებას. ამ ხანად აზრად აქვსთ ამისთანა კომიტეტი ჯერ პეტერბურგში დააარსონ და მერე სხვა საგუბერნიო ქალაქებშიაც შემოიღონ.

გუბერნატორების თხოვნით, გადაწყვეტილ იქმნა განახლდეს კვლავ საგუბერნიო კრებანი პირველ-დასაწყისის საერო სკოლების მასწავლებელთან.

ვენა. გუშინ იმპერატორს შინაური სადილი ჰქონდა პრინც ალექსანდრე ბატენბერგის პატივ-საცემლად და მიწვეული ჰყვანდა სამეფო სახლეულობის წევრნი.

სახელმწიფო ბანკის მე-48 ტირაჟში 2 იანვარს 1889 წელს პირველის შინაგანის სესხის ბილეთის ხუთას მანათიანი მოგება ჰხვდა შემდეგ ნომრებს:

| №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. |
|---|---|---|---|
| 4273 | 1 | 3765 | 26 |
| 6043 | 1 | 6382 | 26 |
| 8782 | 1 | 10365 | 26 |
| 14307 | 1 | 14117 | 46 |
| 15924 | 1 | 14264 | 26 |
| 7755 | 2 | 16758 | 26 |

უწევენ ვისმე, თუ გინდათ გაიგოთ, თუ რა სიმარჯვითა და მოხერხებით ჰფცქენიან და ატყავებენ ყველას, ვინც მათთან საქმეს დაიჭერს წინად, ოსმალთა ნებივრობის დროს, საქმე სხვა რიგად დატრიალდებოდა ხოლმე. ეფენდი, ბეგი, ფაშა სომხს სრულს ნებას აძლევდა გაფცქვნისა, მაგრამ როცა სომხის ჯიბე ისე აივსებოდა, რომ შიგ ტევა არ იქნებოდა, შავს დღეს დააყენებდნენ თავიანთ კარის ბანკირს: რაიმე ხრიკს მოუდებდნენ, საჩივარს გაუმართავდნენ დაპალატსა და მოტყუებას დასწამებდნენ. შემდეგ ბრალდებულს თავს მოჰკვეთდნენ ხოლმე და ნაწილ-ნაწილად გაფლანგული სიმდიდრე ისევ ძველს პატრონს უბრუნდებოდა. ამ გვარი ძალად-სიკვდილი ითვლებოდა მოსამსახურის იშვიათ ერთგულებად ბატონისადმი. სიკვდილით დასჯილის ფილავზე აღიმართებოდა ხოლმე ძელი, რომელსაც ან ხელში ეჭირა და ან ფეხ ქვეშ ედო კაცის თავი. ამით ძალად-განსვენებულის ოჯახობას ჰსურდა დაემტკიცებინა თავისი სირცხვილი და უბედურება-კი არა, არამედ განუსაზღვრელი ერთგულება ბატონისადმი. ხშირად დასჯილის შვილები მამის ადგილს დაიჭერდნენ ხოლმე, იმ ნაირადვე გამდიდრდებოდნენ და იმ ნაირადვე განუტევებდნენ სულს. ეხლა, როდესაც ბოსფორზე ცხოვრებას ფერსა და მიმართულებას აძლევენ ევროპის საელჩონი და არა თვით ოსმალნი და როდესაც წუნბელა სომხები რომლისამე საელჩოს მფარველობის ქვეშ იმყოფებიან, სისხლის წოვა მაინცა და მაინც საშიში არ არის მათთვის. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ სხვის ამონაწოვარს სისხლს მათ არ გამოაშვებინებენ და მადიანად შეირგებენ; ამის გამო ოსმალელი საზოგადოება დღითი დღეზე უფრო და უფრო ღარიბდება, ღატაკდება; ფული თითქმის სულ ერთიანად სომხების ხელშია; გალატაში სომხები ბირჟის მეთაურნი არიან და ამ უსინდისო, თავ-აშვებულ სპეკულიატორების წინააღმდეგ ბრძოლა მეტად საძნელო საქმეა. მართალი სთქვა მოხუცმა როტშილდმა: «მთელის დედამიწის ზურგიდგან რომ შევკრიბოთ ებრაელები და სომხები და ბირჟის დიდს დარბაზში დავამწყვდიოთ, არ გაივლის ნახევარი საათი და ებრაელთა ფული სომხების ჯიბეებში გადავაო» ღვთის წინაშე, უნდა ვსთქვათ მდიდარ სომხთა სასახელოდ, რომ ზოგჯერ კანონიერისა და ბინძურის საშუალებით შეძენილს ფულს ისინი დიდის ხალისით იმეტებენ ხოლმე ეროვნულ და საქველ-მოქმედო საქმის სასარგებლოდ; მათ მიერ დაარსებული სამაგალითო სკოლები რომ ნახოთ სტამბოლსა და პარიჟში, ვენეციასა და რომში, დამაარსებელთ შეუნდობთ ყველა ცოდვასა და ეცდებით არ მოიგონოთ ის წყარო, რომლისგანაც ამოუკრეფნიათ კეთილის საქმისათვის საჭირო ფული...

„ოსმალებსა და სომხებს საერთო ზნე-ჩვეულებაც აქვსთ, მაგალითად, სომხებიც მისდევენ ჰარამხანის უგვანო ინსტიტუტს[3]). სომეხი ზოგ ჩვეულებითა და თვისებით სხვა ქრისტიანებზე უფრო ჰგავს აღმოსავლეთელ კაცს. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ოსმალონი, თუმცა სომხები სხვა ხალხზე მომეტებულად სძაგთ, მათთან იჭერენ საქმეს, სომეხს ყოველთვის თავისუფლად შეუძლიან შევიდეს როგორც წვრილის მოხელეს, ისე ფაშას სადგომში და თვით სასახლეშიაც, სადაც ნდობა აქვს მოპოვებული. არავის არ შეუძლიან სომხსავით ისარგებლოს მპყრობელის ხალხის სისუსტითა და ნაკლულევანებით და გააქარწყლოს მტარვალის იჭვნეულობა. სომეხი წელში იხრებოდა, იდრიკებოდა, მაგრამ თავისს ბუნებას არა ჰკარგავდა. ჩვენს დროს ასი ათასობით ითვლება გამაჰმადიანებული ბოლგარი, ალბანელი და ბერძენი, მაშინროდესაც არც ერთი სომეხი არ გადასდგომია თავისს სჯულს. შესაძლოა მოსლემინების ძლიერების დროს, მე-XIII და მე-XIV-ე საუკუნეებში, თითო-ოროლა სომეხი გამაჰმადიანებულიყოს, მაგრამ მთელის გუნდის გადასვლა უცხო სარწმუნოებაში თითქმის არც-კი იხსენიება ისტორიაში და ეს სიმტკიცე, ეს გამოცდილი ბეჯითობა სომხებისა საუკეთესო და უმთავრესი საბუთია სომხების მერმისისა. ამ საუკუნის დასაწყისიდ ან მშვიდობიანადა და უდავიდარაბოდ იწყება სომხთა ეროვნების აღორძინების საქმე და თითქმის ყოველს ნაბიჯზე შეხვდებით გულგაქვავებულს, გაკერპებულს მატერიალისტებს, რომლებიც გაუტაცნია საერთო მიმდინარეობას. ძველი სომხური ენა, ისტორია, რომელიც ძველად თავს იფარვიდა მონასტრებში და რომელსაც იკვლევდნენ და სწავლობდნენ სამღვდელო კაცები, დღეს შემოღებულია პირველ დასაწყისს სკოლებში და სადაც არის დაიმკვიდრებს საპატიო ადგილს მთელს სომხობაში. ამ ერის საქმის წარმატება და გამარჯვება ეჭვს გარეშეა, რადგანაც იმან თავისს საქმეს უბაქიბუქოდ და მშვიდობიანად შეუდგა. აზიის ქრისტიანეთა შორის სომეხთ ერს, რომელიც აღირიცხება სამ მილიონამდე, სამართლიანად დაუმსახურებია ევროპის სიმპატია და მთელის უკეთესი მომავალი.

„ბერძენი დღემდე სულ ტყუილ-უბრალოდ სცდილობს უპირატესობა მოიპოვოს აღმოსავლეთში, მაშინროდესაც გაუთლელს, უშნო სომეხს მეტი ღონისძიება აქვს დაიმკვიდროს შესაფერი მომავალი, ვიდრე ბერძენს, რომელიც რამდენი ხანია ჰყვირის და ბაქიბუქობს, რომ ისტორიული და კულტურული უპირატესობა აღმოსავლეთში ჩვენ გვეკუთვნისო".

ამით ათავებს გ. ვამბერი. ეხლა ვნახოთ, რას ამბობს ელიზე რეკლიუ.

(დასასრული იქნება)

[3]) ცხადია, აქ ავტორს მხედველობაში აქვს არა მრავალ-ცოლობა, რომელიც სომხობამ არ იცის, არამედ ქალების დამონავება შინაურობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 9615 | 2 | 19726 | 26 |
| 19889 | 2 | 1681 | 27 |
| 969 | 3 | 1809 | 27 |
| 2044 | 3 | 2426 | 27 |
| 6440 | 3 | 5301 | 27 |
| 9289 | 3 | 7857 | 27 |
| 11416 | 3 | 8321 | 27 |
| 12820 | 3 | 9461 | 27 |
| 12884 | 3 | 19780 | 27 |
| 1330 | 4 | 11783 | 27 |
| 1839 | 4 | 8187 | 27 |
| 4337 | 4 | 4258 | 28 |
| 8513 | 4 | 5409 | 28 |
| 14111 | 4 | 5652 | 28 |
| 14737 | 4 | 6507 | 28 |
| 16526 | 4 | 9561 | 28 |
| 19114 | 4 | 14151 | 28 |
| 19172 | 4 | 18629 | 28 |
| 1367 | 5 | 19724 | 28 |
| 1747 | 5 | 14656 | 29 |
| 8151 | 5 | 14857 | 29 |
| 14538 | 5 | 14913 | 29 |
| 14710 | 5 | 58 | 30 |
| 15422 | 5 | 798 | 30 |
| 18810 | 5 | 1424 | 30 |
| 1199 | 6 | 6298 | 30 |
| 1922 | 6 | 6589 | 30 |
| 3902 | 6 | 8190 | 30 |
| 4321 | 6 | 12291 | 30 |
| 6282 | 6 | 14537 | 30 |
| 6 618 | 6 | 17658 | 30 |
| 8898 | 6 | 14687 | 30 |
| 11301 | 6 | 17103 | 30 |
| 11573 | 6 | 17712 | 30 |
| 602 | 7 | 2263 | 31 |
| 4162 | 7 | 3568 | 31 |
| 15734 | 7 | 5753 | 31 |
| 10876 | 8 | 15266 | 31 |
| 16723 | 8 | 15312 | 31 |
| 4791 | 9 | 15587 | 31 |
| 8006 | 9 | 11216 | 32 |
| 16783 | 9 | 12281 | 32 |
| 19478 | 9 | 13410 | 33 |
| 1204 | 10 | 17101 | 33 |
| 2968 | 10 | 819 | 34 |
| 6518 | 10 | 5545 | 34 |
| 8508 | 10 | 7363 | 34 |
| 9096 | 10 | 11887 | 34 |
| 16773 | 10 | 18548 | 34 |
| 19781 | 10 | 6271 | 35 |
| 1390 | 11 | 6393 | 35 |
| 7848 | 11 | 8597 | 35 |
| 8769 | 11 | 10399 | 35 |
| 18687 | 11 | 14040 | 35 |
| 19048 | 11 | 9664 | 36 |
| 737 | 12 | 19219 | 36 |
| 3980 | 12 | 10679 | 37 |
| 5908 | 12 | 15738 | 37 |
| 13407 | 12 | 8597 | 37 |
| 16426 | 12 | 7339 | 38 |
| 1372 | 13 | 8976 | 38 |
| 7762 | 13 | 9425 | 38 |
| 13634 | 13 | 11643 | 38 |
| 18707 | 13 | 10358 | 38 |
| 9586 | 14 | 18681 | 38 |
| 10222 | 14 | 2350 | 39 |
| 11215 | 14 | 6189 | 39 |
| 11252 | 14 | 9452 | 39 |
| 18955 | 14 | 11469 | 39 |
| 19719 | 14 | 13280 | 39 |
| 268 | 15 | 19548 | 39 |
| 612 | 15 | 381 | 40 |
| 622 | 15 | 3517 | 40 |
| 1529 | 15 | 5489 | 40 |
| 2457 | 15 | 8267 | 40 |
| 8976 | 15 | 12922 | 40 |
| 10322 | 15 | 4858 | 41 |
| 15031 | 15 | 5371 | 41 |
| 317 | 16 | 10004 | 41 |
| 5282 | 16 | 14149 | 41 |
| 8584 | 16 | 19812 | 41 |
| 9027 | 16 | 2546 | 42 |
| 17354 | 16 | 4916 | 42 |
| 19 | 17 | 12941 | 42 |
| 11492 | 17 | 16165 | 42 |
| 16681 | 17 | 845 | 43 |
| 17338 | 17 | 958 | 43 |
| 19979 | 17 | 18353 | 43 |
| 608 | 18 | 19207 | 43 |
| 5192 | 18 | 1711 | 44 |
| 7560 | 18 | 12376 | 44 |
| 18300 | 18 | 12415 | 44 |
| 2895 | 19 | 14479 | 44 |
| 3700 | 19 | 16607 | 44 |
| 19520 | 19 | 16648 | 44 |
| 4191 | 20 | 9900 | 45 |
| 7279 | 20 | 18773 | 46 |
| 8986 | 20 | 719 | 47 |
| 9630 | 20 | 1962 | 47 |
| 15910 | 20 | 2252 | 47 |
| 17429 | 20 | 3610 | 47 |
| 6649 | 21 | 9940 | 47 |
| 12239 | 21 | 12556 | 47 |
| 2175 | 22 | 13619 | 47 |
| 7369 | 22 | 16362 | 17 |
| 13137 | 22 | 19771 | 47 |
| 12 | 23 | 4368 | 48 |
| 2923 | 23 | 5249 | 48 |
| 6872 | 23 | 10172 | 48 |
| 17521 | 23 | 10745 | 48 |
| 18694 | 23 | 10963 | 48 |
| 1584 | 24 | 13 43 | 48 |
| 4790 | 24 | 13166 | 48 |
| 5809 | 24 | 15813 | 48 |
| 14259 | 24 | 18058 | 59 |
| 15536 | 24 | 4871 | 40 |
| 16186 | 24 | 4912 | 40 |
| 16219 | 24 | 6054 | 40 |
| 5744 | 25 | 6788 | 50 |
| 6102 | 25 | 7471 | 50 |
| 7345 | 25 | 9695 | 50 |
| 11225 | 25 | 11741 | 50 |
| 16165 | 25 | 13149 | 50 |
| 213 | 25 | 16955 | 50 |

ამ ბილეთებით მოგებულის ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ბანკში ს.-პეტერბურგს 1889 წლის პირველ აპრილიდგან.

ნომრები სერიებისა, რომელთაც მოგება არ ერგოთ:

15502, 2909, 17055, 8439, 10330, 11138, 17202, 8632, 18440, 3999, 18460, 608, 1916, 4266, 1270, 1497, 485, 4445, 6799, 11297, 6594, 605, 14122, 139, 2392, 18312, 9871 3649, 15449, 19556, 1954, 13600, 219, 52, 11963, 13555, 18271, 1581, 4295, 4525, 17942, 19455, 5524, 15367, 16815, 3124, 11698, 14475, 11878, 4958, 1358, 9366, 15394, 2432, 16337, 9656, 7718, 9242, 18875, 4395. 4544, 7404, 19369, 16113, 14884, 16909, 11176, 8183, 11986, 3200, 7511, 11233, 14289, 9752, 7992, 12048, 14527, 2250, 4767, 11758, 9725, 6521, 13124, 6603, 3559, 14399, 19905, 17778, 11335, 4607, 8392, 11725.

ამ ბილეთებისათვის ხვედრის ფულის მიღება შეიძლება 1889 წლის 1 აპრილიდგან სახელმწიფო ბანკსა და იმის კანტორებსა და განყოფილებებში.

## პეტერბურგის ბირჟა, 5 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 50 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 150½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 13 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 264½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 245 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97 „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97 „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | 82 „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენ (1889) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

იანვარი 31 დღით არის.

10 დღე სამშაბათი. წ. გრიგოლისა, ნოსელ ეპისკოპოზისა, და სხვათა. კათოლ. ეპ. ვილჰელმისა. სომეხ. სალამოზედ ნახატონაქი. მაჰმად. მე-21 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 12—12. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 5—2. მთვარე 21 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 იანვრიდამ 16 იანვრამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ › |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 4 „ |
| „ „ 3 „ | 3½ „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 „ |
| მე-3 — . . . | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |
| სუკი . . . . | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 „ |
| ღორის ხორცი . . . | 9 „ |
| „ 2 „ | 8 „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

# განცხადებანი

ს.-პეტერბურგის საექიმო გამგეობის ნებართვით იყიდება

## ბამბა „გავანნა“

თამბაქოს მხმარებელთათვის.

ეს ბამბა, პაპიროსში ჩადებული, ჰსპობს ნიკოტინსა და სხვა მავნე ნივთიერებას, ამით იცვავს თამბაქოს მხმარებელის ჯანის სიმრთელეს და აგრეთვე თამბაქოს გემოს უკეთებს და უუმჯობესებს.

ყუთი ჰღირს 10 კაპ.

იყიდება ყველა საუკეთესო თამბაქოს მაღაზიებში. უმთავრესი საწყობი ნარჩად საყიდავად იმყოფება ალექსანდრე ვენცელთან, ს.-პეტერბურგს, ყაზანის ქუჩაზედ, 3; მოსკოვს, მოსკოვის ვიწრო ქუჩაზედ, სოლენიკოვების სახლში.

ბ-ნთ სხვა ქვეყნელთ 3 მანათად გაეგზავნებათ 25 ყუთი. ვაჭრებს შეღავათიანად და ნაკლებ ფასად დაეთმობათ.

სიყალბის ასაცილებლად ვსთხოვთ მხმარებელთ ყიდვის დროს მიაქციონ ყურადღება ბამბის გამომგონ ნ. როზენბლატის გვარს, იმისავე მოწერილს, და ასოებს „A. W.“ ყოველ ყუთზედ.

(3—3) ალექსანდრე ვენცელი.

საზოგადო წასასმელი ლითონთა საწმენდავად საუკეთესო ღონისძიება

!მთელის ქვეყნის მიწაზედ!

უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრეთ რუსეთისათვის ძმათა პეტრო კოკონობთან ოდესას.




იყიდება ყველგან.

მყიდველებსა ვსთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და სათაბრიკო მარკას.

(26—1)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

იყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . | ,, 40 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა . . . . . | „ 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 „ |
| საახალ-წლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ 50 |
| საუკეთესო ცოლი, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | ,, 20 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | ,, 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . | › 45 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 50 |
| ბუნების მოელენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | ,, 30 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ 25 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | ,, 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ 5 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | ,, 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 „ |
| ხამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | „ 35 |
| ვაზის ობი. . . . . . . | „ 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გენიასი . . . . | „ 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ 30 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 › . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 › . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 › . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 › . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 › . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბსტამოვისა, № 5.

подписка на

## „ТРУДЫ“

кавказскаго общества сельскаго хозяйства

**1889 года,**

выходящие ежемѣсячно и посвященные нуждамъ кавказской сельско-хозяйственной промышленности,

ПРИНИМАЕТСЯ ВЪ ТИФЛИСѢ,

въ канцеляріи Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства, что на Барятинской улицѣ, въ Александровскомъ саду.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ИЗДАНІЯ ЗА ГОДЪ

**ЧЕТЫРЕ руб.**

съ пересылкою во всѣ города россійской имперіи и доставкою на домъ.

Отдѣльные номера не продаются.

Для напечатанія въ „Трудахъ“ принимаются сельско-хозяйственныя объявленія, по соглашенію съ бюро Общества.

(3—2)

Доз. ценз. Тифлисъ 9-го Января 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე